ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 58

15 ივნისი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

15:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელი.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

ზაზა მამალაძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

სხდომის დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, რობერტ ბარძიმაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის კინორეჟისორის სიკო დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის საზოგადო მოღვაწის ახმეთ მელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, დავით აღმაშენებლის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის დავით აღმაშენებლის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ბათუ კრავეიშვილის ქუჩისთვის ნიაღვრის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ევგენი მიქელაძისა და სანდრო ახმეტელის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის ბათუ კრავეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩის III ჩიხისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის სპორტსმენის კოსტა მაისურაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

7. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვარკეთილის დასახლება IV მიკრო რაიონი, კვარტალი III-ისთვის ვაზისუბნის IV მიკრო რაიონი კვარტალი III-ის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვაზისუბნის IV მიკრო რაიონის I კვარტალში მდებარე რაგბის სათამაშო მოედნისთვის სპორტსმენის, აფხაზრთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ სულაქველიძის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, თამარ მეფის ქუჩათან არსებული უსახელო ჩიხისთვის თამარ მეფის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
10. „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გივი კვიჭიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის საბავშვო მწერლის კუკური გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის #143 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ
11. „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, თეთრი ტბის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის თეიმურაზ ბატონიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #235 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ
12. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის დასახლებაში ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სამხედრო ექიმის, გენერლის დავით მგელაძის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მეგობრის I შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის ვახტანგ მალაყმაძის სახელის მინიჭების შესახე

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

კომისიის თავმჯდომარემ, მიხეილ ამაშუკელმა თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ამომწურავად ისაუბრა. კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისში, ვაკის რაიონში, 2003 წლიდან არსებობს სიკო დოლიძის სახელობის ქუჩა. კომისიაში 2020 წლის 10 იანვარს შემოსულია საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის გიორგი ჩხეიძის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის გიორგი გეგეჭკორის და საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტის დავით ოქიტაშვილის წერილი. სიკო დოლიძის ღვაწლის გათვალისწინებით კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დიდუბის რაიონში არსებობდეს სიკო დოლიძის სკვერი.

მეორე და მეცამეტე საკითხები შეეხება თბილისში, სამგორის რაიონში, კერძოდ ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში უსახელო ქუჩებისთვის საზოგადო მოღვაწეების ახმეთ მელაშვილისა და ვახტანგ მალაყმაძის სახელების მინიჭებას. აღნიშნული სახელდებების ინიციატივით კომისიაში შემოვიდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის წერილები. იგი ითხოვს თბილისის ქუჩებისთვის გამორჩეული ეროვნული მოღვაწეების ახმეთ მელაშვილისა და ვახტანგ მალაყმაძის სახელების მინიჭებას. ამ პიროვნებების ბიოგრაფიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ახმეთ მელაშვილი იყო პუბლიციტი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი. მან თავი მოუყარა თურქეთში ქართულ სოფლებში გაბნეულ ფოლკლორულ ნაწარმოებებს, მათ შორის ეთნომუსიკალურ მემკვიდრეობას. მას თურქეთის ქართველების ილია ჭავჭავაძესაც უწოდებდნენ. ვახტანგ მალაყმაძე იყო ასევე თურქეთში მოღვაწე ეთნიკურად ქართველი მეცნიერი, მთარგმნელი, პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. იგი იყო თურქეთის რესპუბლიკაში მაცხოვრებელ ქართველთა შორის გამორჩეული პიროვნება. ვახტანგ მალაყმაძე ახმეთ მელაშვილის მეგობარი, თანამებრძოლი და მისი ეროვნულ-კულტურული გზის გამგრძელებელი იყო. მეგობრობდა საქართველოს კათოლიკოს-

პატრიარქთან. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს ახმეთ მელაშვილისა და ვახტანგ მალაყმაძის სახელობის ქუჩები.

მესამე საკითხის განხილვისას კომისიის წევრებმა იმსჯლეს და ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე სხდომის თავმჯდომარესთან ერთად საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს, რათა დავით აღმაშენებლის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევს დავით აღმაშენებლის I შესახვევის სახელი მიენიჭოს.

მეოთხე და მეხუთე საკითხების განხილვისას სხდომის თავმჯდომარემ სახელდების პროცესში ტოპონიმების შენარჩუნება-გამოვლენასა და და აღდგენის მნიშვნელობაზე ისაუბრა. 2018 წლის 11 ივნისს კომისიაში შემოსულია ბათუ კრავეიშვილის (ყოფილი ნიაღვრის) ქუჩის მაცხოვრებლების ერთობლივი განცხადება, რომლითაც ითხოვენ ბათუ კრავეიშვილის ქუჩისთვის ნიაღვრის ქუჩის სახელის დაბრუნებას. კომისიამ გაითვალისწინა ნიაღვრის ქუჩის მაცხოვრებლების მოთხოვნა (ბათუ კრავეიშვილის ქუჩისთვის ნიაღვრის ქუჩის სახელის დაბრუნებასთან დაკავშირებით). ასევე გაითვალისწინა ბათუ კრავეიშვილის ღვაწლი და დამსახურება ქართულ კინემატოგრაფიაში და სახელდებისთვის შეარჩია უსახელო ქუჩა ევგენი მიქელაძისა და სანდრო ახმეტელის ქუჩების მიმდებარედ.

მეექვსე საკითხის განხილვისას მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის თამაზ გეგეშიძის წერილი, რომლითაც ითხოვს ვაკის რაიონში შუა მინდვრის ქუჩის III ჩიხს მიენიჭოს ტიტულოვანი სპორტსმენის კოსტა მაისურაძის სახელი. ბიოგრაფიის გაცნობის შემდეგ კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული სახელდება.

მეშვიდე საკითხის განხილვისას სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს აცნობა რომ ტერიტორია მართლაც მდებარეობს ვაზისუბანში, რეალურად ეკუთვნის ისნის რაიონს, თუმცა მისამართში მითითებულია ვარკეთილის IV მიკრორაიონი, რაც იწვევს სირთულეებს.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ვაზისუბნის IV მიკრო რაიონის I კვარტალში მდებარე რაგბის სათამაშო მოედანისთვის, აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, რაგბის პროფესიონალური კლუბ „ივერიის“ დამაარსებლის ემზარ სულაქველიძის სახელის მინიჭებას.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ტაბახმელაში, თამარ მეფის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს თამარ მეფის I ჩიხის სახელი.

მიხეილ ამაშუკელმა მეათე საკითხის განხილვისას კომისიის წევრებს აცნობა, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან კომუნიკაციის შემდეგ შესაძლებელია შეიცვალოს ზემოაღნიშნული ტერიტორიის გავრცელების არეალი და ცვლილება შევიდეს 2014 წლის 22 დეკემბრის #235 განკარგულებაში დანართის(რუკის) შესაბამისად.

მეთერთმეტე საკითხის განხილვისას მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით ნაწილობრივ აკმაყოფილებენ ბატონიშვილის ქუჩის მაცხოვრებლების ერთობლივ განცხადებას, ცვლილება შედის #235 განკარგულებაში და გლდანის რაიონში, ბატონიშვილის ქუჩის მონაკვეთის გავრცელების არეალი იცვლება დანართის (რუკის) შესაბამისად.

კომისიის წევრებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ივერთუბანში უსახელო ქუჩისთვის გენერალ დავით მგელაძის სახელის მინიჭებას.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები დადებითად გადაწყვიტეს, მხარი დაუჭირეს საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და საჯარო განხილვის მიზნით საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი